Environment and Society, N4, July, 2022, pp. 83-103

რუსეთის საგარეო პოლიტიკის როლი რუსეთის სახელმწიფო იდენტობის ფორმირებაში

ფიქრია ასანიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ. ფოსტა: pikria.asanishvili@tsu.ge

აბსტრაქტი

დასავლეთში რუსეთისადმი მიძღვნილი კვლევებს, რომელიც სწავლობს რუსეთის ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას, სოციალურ ცხოვრებასა პოლიტიკას, თუ იდენტობის საკითხებს, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ჰუმანიტარულ, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში. გამონაკლისი არც საერთაშორისო ურთიერთობების სფერო დარჩენილა, რომელსაც რა თქმა უნდა, რუსეთი აინტერესებს მისი საგარეო პოლიტიკის, ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლის კუთხით. კერძოდ, როგორ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა ახალი რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რა როლი აქვს მას საერთაშორისი სისტემაში, როგორ აქტორად ფორმირდება იგი მსოფლიო პოლიტიკაში და რა ტრანსფორმაციას განიცდის მისი საგარეო პოლიტიკური მიმართულებები.

ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზოს რუსეთის საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივიზმის თეორიის პრიზმიდან და ახსნას თუ როგორია თანამედროვე რუსეთის წარმოდგენა და აღქმა გარე სამყაროზე და რუსეთის როლზე ამ სამყაროში. როგორ აღიქვამს რუსეთი ურიერთობას სხვა სახელწლიფოებთან განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებთან (ევროკავშირი და აშშ). როგორ აყალიბებს იგი თავის საგარეო პრიორიტეტებს და როგორ ქმნის ეს საგარეო პოლიტიკა თანამედროვე რუსეთის სახელმწიფო იდენტობას.

საკვანძო სიტყვები: *აღქმები, წარმოდგენები, კონსტრუქტივიზმი, საგარეო პოლიტიკა, სახელმწიფო იდენტობა.*

Abstract

In Wesern countries research dedicated to Russia which studies history of Russia, culture, economics, social life, politics, or identity issues, have always paid a huge attention in the humanities, social and economic sciences.

The field of International Relations was not an exception. International Relations are interested in terms of studing foreign, and security policy of Russia, its National Inerests. Particularly, how the new Russia was formed as a state after the collapse of the Soviet Union, what role it has in the international system, how it is formed as an actor in world politics and what transformation its foreign policy directions are undergoing The purpose of this work is .to analyze Russia's foreign policy from the perspective of the constructivism theory of international relations and to explain how modern Russia views and perceives the outside world and Russia's role in it. How does Russia perceive its interaction with other countries, especially with Western countries (EU and the U.S.A).How it creates its foreign policy priorities and how this foreign policy shapes the state identity of modern Russia.

Key words*: Perceptions. Representations. Constructivism. Foreign Policy. State identity.*

შესავალი

2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან რუსეთის პოლიტიკური ევოლუციის ფენომენად იქცა ეროვნული იდენტობის დისკურსის მასშტაბური მოზღვავება რუსეთის საგარეო პოლიტიკურ რიტორიკაში. რუსეთის საგარეო პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა იდენტობის საკითხების პოლიტიზირება და მათი აყვანა-გათანაბრება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან. რუსეთის მმართველი ელიტისთვის საგარეო პოლიტიკა ხდება ინსტრუმენტი რუსეთის სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირებისთვის,რაშიც ეროვნული იდენოტობის დიკსურსი დიდ როლს თამაშობს.. ეს ფენომენი ცალსახად შერჩევით ხასიათს ატარებს. იმ ქვეყნებთან, სადაც რუსეთის იდენტობის საკითხები უმნიშვნელოა (აზიის და ახლო აღმოსავლეთის სახელწიფოები), რუსეთი პრაგმატულ პოლიტიკას მიმართავს და წარმატებებსაც აღწევს, ხოლო როცა საქმე ეხება დასავლეთის ქვეყნებსა და ე.წ პოსტსაბჭოთა სამეზობლოს, აქ აშკარად თავს იჩენს ე.წ. რუსული იდეისა და რუსული ეროვნულობის სიდიადეზე ხაზგასმა და შედეგად, ეროვნული იდენტობის ფორმირებაზე დაფუძნებული მითოლოგია პრაგმატული პოლიტიკის წარმოებასთან შედის კონფლქტში (Зевелев, 2021).

ეროვნული იდენტობებისა და ისტორიული მითების ჭარბად გამოყენება რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ ვ. პუტინის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით გააქტიურა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ. რუსეთის პოლიტიკური ლიდერების საჯარო გამოსვლებში სულ მეტად გაისმოდა სლოგანები „ რუსი ერის სიდიადზე“ „ რუსულ სამყაროზე, რომელსაც დაცვა სჭირდება“ რუსეთის სახელმწიფოს განსაკუთრებულ გზაზე“ „რუსეთს მოქალაქეების დაცვის აუცილებლობაზე“ „რუსული ცივილიზაციის გადარჩენაზე“ და ა.შ (Лавров, 2016).

ასეთი რიტორიკის გაძლიერებამ საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო წრეების დისკურსზეც იქონია გავლენა და თუკი 2008 წლამდე უფრო მეტად ჭარბობდა რუსეთის პოლიტიკისა და ქცევის ახსნა ძირითადად ლიბერალიზმისა და რეალიზმის სკოლების

პერსპქტივიდან, 2000-იანი წლების ბოლოდან დისკურსში უფრო აქტიურად დაიმკვიდრა ადგილი კონსტრუქტივიზმის თეორიამაც.

საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ რომ დასავლეთის მიმართ რუსეთის დაპირისპირება განპირობებულია ავტორიტარული და დემოკრატიული რეჟიმების შეჯახებით. საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური სკოლის ლოგიკით, რუსეთის დემოკრატიზაციის პროცესი მომავალში გამოიწვევდა დაპირისპირების დასრულებას, რადგან ტრადიციულად დემოკრატიული რეჟიმის მქონე ქვეყნები ერთმანეთს არ ეომებიან. მეორე მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიის სკოლასთანაა დაკავშირებული, რომელიც ხაზს უსვამს ბრძოლას გადარჩენისთვის, ეროვნული ინტერესეისათვის და კონკურენციისთვის. ეს მიდგომა ვარაუდობს რომ რეალურად სახელმწიფოები განწირულნი არიან მარადიული შეჯიბრისთვის,რომლებიც აუცილებლად გადავა დაპირისპირებაში და გარკვეულ ისტორიულ პერიოდში კონფორნტაციაშიც კი და დაძაბულობა დასავლეთსა და რუსეთს შორის სწორედ ამ კონფრონტაციის შედეგია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და განსაკუთრებით 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „რუსული სამყაროსა და რუსული ცივილიზაციის“ ნარატივების წინ წამოწევამ განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქრტივიზმის თეორიის მისადაგებაც რუსული ელიტის ქცევის ასახსნელად. უნდა აღინიშნოს რომ კონსტრუქტივისტული მიდგომა არა მარტო დასავლელი მკვლევარების ნაშრომებში გახდა აქტუალური, არამედ თვითონ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მკვლევარებმაც და მოქმედმა დიპლომატებმაც სწორედ ამ თეორიის პოსტულატებზე აპელირებით დაიწყეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ქცევების გამართლება (Зевелев, 2021).

კონსტრუქტივიზმის თეორიის თანახმად, რუსეთის ურთიერთქმედება აშშს-თან და ევროპის სახელმწიფოებთან შეიძლება გავიგოთ არა როგორც ურთიერთობა ერ-სახელმწოფოებსა და მათ ალიანსებს შორის, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან პოლიტიკური რეჟიმებით, სისტემებითა და სამხედრო ძლიერებით, არამედ როგორც ორი სუბიექტის შეხლა,რომელთაც საოცრად განსხვავებული აღმა აქვთ არა მარტო საკუთარი თავისა, არამედ სამყაროსიც.

აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად შესწავლამ დაგვანახა რომ რეალურად რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც კონსტრუქტივიზმის არსითაა ნაკარნახევი და შესაბამისად ნაციონალურ იდენტობასა და აღქმებზე აკეთებს დიდ აქცენტს, სინამდვილეში შიდა პოლიტიკური პროცესებისკენაა მიმართული და რუსეთის მოქალაქეების კონსოლიდირებასა და მობილიზებას ისახავს მიზნად, რათა სასურველი საგარეო პოლიტიკური ინტერესები შეუფერხებლად გატაროს საგარეო ასპარეზე, ხოლო მისი საგარეო პოლიტიკური მიზნები,ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და სტარტეგია მთლიანად კლასიკური რეალიზმის ტრადიციებითაა ნაკარნახევი. მთლიანობაში ეს არის ერთგვარი ნაციონალური იდენტობისა და იმპერიული საგარეო პოლიტიკის ნაზავი, რაზეც სურს თანამედროვე პოლიტიკურ ელიტას, პუტინის მეთაურობით, დააფუძნოს რუსეთის სახელწიფოს იდენტობა. სტატიაში რუსეთის მაგალითზე, გვინდა ვაჩვენოთ, როგორ შეიმუშავებს რუსული პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკას და როგორ აყალიბებს რუსულ სახელმწიფო იდენტობას ამ საგარეო პოლტიკის განხორციელებაში საერთაშორსიო ასპარეზზე.

სახელმწიფო იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთმიმართება საერთაშორისო ურთიერთობებში -თეორიული ანალიზი

მეოცე საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ თეორიებს, როგორიც იყო ლიბერალიზმი და რეალიზმი დაემატა ახალი თეორიული სკოლა კონსტრუქტივიზმის სახით. კონსტრუქტივიზმის თეორია შეეცადა გარკვეული დამკვიდრებული თეზისების გადახედვას სუ--ს თეორიებში და ახლებურად გააზრებას სახელმწიფოთა ქცევის მოტივაციასა და ბუნებასთან დაკავშირებით და სახელმწიფოს ქმედებას შეხედა არა მხოლოდ ეროვნული ინტერესებითა და სახელმწიფოს თვითგადარჩენის ინსტინქტით საერთაშორისო სისტემაში, არამედ შეეცადა სახელმწიფოს პოლიტიკა,მათ შორის საგარეოც, იდენტობებისა და აღქმების პერპექტივიდან აეხსნა.

ერთ-ერთი პირველმა, ვინც მსოფლიო პოლიტიკაში აღქმების სუბიექტურ მნიშვნელობას მიაქცია ყურადღება იყო ამერიკელი მკვლევარი რობერტ ჯერვისი. თავის წიგნიში „Percpetion

and Misperpection in international Politics “ (1976) მან ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოდგენებისა და აღქმების მნიშვნელობაზე. ის აღნიშნავდა, რომ სანამ გავიგებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მიზეზებსა და გარემოებებს, თუ რატომ იქნა ესა თუ ის გადაწყვეტილება მიღებული, საჭიროა თავად გადაწყვეტილების მიმღებთა რწმენების, მათი შეხედულებების და გარე სამყაროსთან მათი დამოკიდებულების შესწავლა. ჯერვისის მთავარი ინტერესი ის კი არ იყო გაერკვია რომელი გადაწყვეტილება იყო სწორი ან მცადრი, არამედ რატომ იყო ადამიანების წარმოდგენა სამყაროზე განსხვავებული. ის ამტკიცებდა რომ ადამიანების აღქმები სამყაროზე და სამყაროში არსებულ სხვადასხვა მოვლენაზე გარკვეული სიბიექტური და ობიექტური ფაქტორების გავლენითაა განპირობებული და ეს ფაქტორები მათ ქცევაზეც და გადაწყვეტილების მიღების პროცესზეც ახდენს გავლენას (Jervis, 1976), თუმცა წარმოდგენებისა და აღქმების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში სიღრმისეულად მაინც ალექსანდრე ვედტმა გააანალიზა და დაუდო საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობებში კონსტრუქიტივიზმის თეორიის დამკვიდრებას (Wendt, 1999).

ალექსანდრე ვენდტი თავის ანალიზში დაეყრდნო სოციალური კონსტრუქტივიზმის წარმომადგენლების პიტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის ნაშრომებს.

სოციალური კონსტრუქციის თეორიის მიხედვით, „ყოველდღიური ცხოვრება არის რეალობა, რომელიც ინტერპრეტირდება ინდივიდების მიერ და აქვს სუბიექტური მნიშვნელობა მათთვის, როგორც მთელი სამყაროსთვის. პიროვნებები თავიანთ სუბიექტურად აზრობრივ ქცევაში ყოველდღიურ ცხოვრებას აღიქვამენ, როგორც "მოცემულ" რეალობას. ინტერსუბიექტური ყოველდღიური სამყარო აგებულია სუბიექტური მნიშვნელობების ობიექტურობის პროცესში“ (Бергер & Лукман, 1995).

გარე სამყაროს ობექტები თავისთავად კი არ არსებობს,არამედ აქვთ ის მნიშვნელობა რასაც თავად საზოგადოება და ინდივიდები დებენ მასში.

ასეთივე მიდგომა დაამკივდრა ვენდტმა საერთაშორსი ურთერთობების თეორიულ დისკურსშიც, ოღონდ აქ ინდივიდის ადგილს იკავებს სახელმწიფო და მისი აღქმა გარე სამყაროს მიმართ ანუ სახელმწიფოს იდენტობა. საერთაშორისო ურთიერთობებში, კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულება არსებითად დამოკიდებულია

იდენტობის ფორმირების პროცესზე უშუალოდ აქტორებს შორის ურთიერთქმედების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთს აღიქვამენ მეგობრებად ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, მეტი შანსი არსებობს, რომ ნდობა და თანამშრომლობა გააძლიერონ, ხოლო ისინი ვინც ერთმანეთს უარყოფითად აღიქვავენ, უფრო მეტად მიდრეკილნი არიან მეტოქეობისაკენ, უნდობლობასა და კონფლიქტურობისაკენ.

გამომდინარე აქედან ვენდტი განასხვავებს სახელწფო იდენტობის ორ ტიპს კოლექტიურს და საკუთარ ინტერესებზე დაფუძნებულს- ეგოისტურს. იმის მიხედვით თუ ვის თვლიან სახელმწიფოები ერთმანეთის მეგობრად ან მტრად (Wendt, 1994).

კოლექტიურ იდენტობა (Collective Identity) სახელწიფოებს შორის წარმოიქმნება მაშინ როცა სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულნი არიან და ემპათიით არიან განწყობილი. საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან და გადაწყვეტილებას კონსენსუსით იღებენ. ეგოისტური, საკუთარ ინტერესებზე (Self-Interest) დამყარებული სახელმწოფო იდენტობა კი ახასიათებს იმ ქვეყნებს,რომლებიც საკუთარი ინტერესების მიღწევის მიზნით, „სხვებს“ განიხილავს მანიპულაციის ობიექტებად. ვენდტი თვლის,რომ რაც უფრო გაფართოვდება საელმწიფოებს შორის თანამშრომლობა, მით უფრო გაიზრდება სახელწიფოების კოლექტიური იდენტობაც. ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სურვილი ცალკეული სახელმწიფოს ინტერესს კი არ წამოწევს წინ, არამედ გაზრდის საერთო პასუხიმგებლობის გაზიარებისა და საერთო ქმედების განხორციელების სურვილს. კოლექტიური იდენტობის ფორმირების მაგალითად ვენდტს ევროკავშირი მოჰყავდა.

ვენდტთან ერთად სახელმწიფო იდენტობის საკითხებს და საგარეო პოლიტიკაზე მათი გავლენის შესახებ ვხვდებით უილიამ ბლუმის ნაშრომშიც (Bloom, 1993.) უილიამ ბლუმი სახელწიფო იდენტობის სამ ტიპს გამოყოფს საგარეო პოლიტიკის ფორმირესთან მიმართებაში. პირველი ტიპი - როცა იდენტობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი გამოიყენება მოსახლეობის მობილიზაციისათვის საგარეო პოლიტიკური პრობლემებისა და მიზნების გადასაჭრელად. ასეთი იდენტობის მატარებელი სახელწიფოები მუდამ აგრესიული პოლიტიკით გამოირჩევინ მეზობელი ქვეყნების მიმართ. მეორე ტიპი პირიქით, საგარეო პოლიტიკას იყენებს სახელმწიფო იდენტობის ფორმირებისთვის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო კონკრეტულ საგარეო

პოლიტიკას ატარებს ,რათა მოახდინოს მოსახლეობის მობილიზება სახელწიფო იდენტობის შესაქმნელად ან განსამტკიცებლად. მესამე ტიპს წამოადგენს ე.წ გარდამავალი იდენტობების სახელმწიფოები,რომლებიც იმყოფებიან რა გარე ძალების გავლენის ქვეშ, ჯერ ვერ ჩამოაყალიბდნენ მყარად საკუთარი სახელმწიფოს იდენტობასთან მიმართებაში. ასეთად ბლუმი მიიჩნევდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს (Bloom, 1993).

ვენდტისა და ბლუმის კლასიფიკაციებით რუსეთი უფრო განეკუთვნება საკუთარ იტერესზე ორიენტირებულ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკური ელიტაც სახემწიფო იდენტობის საკითხებს იყენებს მოსახლეობის მობილიზაციისთვის საგარეო პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად. თუ როგორ ახერხებს ამას, ქვემოთ მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ელცინისა და პუტინის მმართველობის დროს

იმისთვის რომ დავასაბუთოთ თუ როგორ იყენებს რუსეთი საკუთარი მოსახელობის მობილიზებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრობლემებისა და მიზნების გადასაჭრელად, საჭიროა შევაფასოთ ის მთავარი საგარეო პოლიტიკური პროცესები, რაშიც რუსეთი აღმოჩდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

1990-იანი წლების დასაწყისში,როცა სსრკმ არსებობა შეწყვიტა, რუსეთის დღის წესრიგში კვლავ დადგა საკითხი თუ საით წავიდეს რუსი ერი. რუსი ფილოსოფოსების, მწერლებისა და პუბლიცისტების 19 საუკუნეში დაწყებული ინტელექტუალური ომი ზაპოდნიკებსა და სლავოფილებს შორის თუ რა არის რუსეთი, რას წარმოადგენს რუსი ხალხი და სადაა რუსეთის ადგილი ევროპაში, თუ ის მართლაც განსხვავებული ცივილიზაციაა და ევროპასა და აზიას ერდროულად მოიცავს თავისთავში“, კვლავ განახლდა ახალი სიმძაფრით და მან პოლიტიკაშიც გადაინაცვლა.

ელცინის პრეზიდენტობის პირველ ხანაში 1991-1995 წლებში რუსეთის პოლიტიკურ დისკურსში უფრო მეტად ჭარბობდა დასავლური ლიბერალური ტენდენციები,რომლის მიხედვით რუსეთი თავისი კულტურით და ცივილიზაციით უდაოდ ევროპის ნაწილია და მისი

ადგილი რომ ევროპაში უნდა იყვეს ეს აღარ უნდა ექვემდებარებოდეს განხილვას. ასეთივე პოზიცია ჰქონდა ელცინის ადმინისტაციას საგარეო პოლიტიკური კურსის მიმართულებით (Ельцин, 1992). მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი აცხადებდა, რომ „დემოკრატიული რუსეთისთვის აშშ და სხვა დასავლური დემოკრატიები ისეთივე მეგობრები და მომავალში მოკავშირეები არიან, როგორც ისინი იყვნენ მტრები ტოტალიტარული სსრკ-ისთვის. რუსეთის და დასავლეთის ეროვნული ინტერესები საერთო დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით არათუ ეჯახება ერთმანეთს, არამედ უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთს ავსებს" (Козырев, 1994).

იმდროინდელი ლიბერალების მიზანს წარმოადგენდა რუსეთის გადაქცევა „დიდი დასავლეთის" ნაწილად, ხოლო დასავლეთ ევროპა და აშშ სტრატეგიულ პარტნიორებად მოიაზრებოდა. ელცინის მმართვეობის პირველ პერიოდში მაშინდელი ლიბერალები თვლიდნენ, რომ მჭიდრო პარტნირობა ვაშინგტონთან და ევროპულ დედაქალაქებთან უზრუნველყოფდა რუსეთში არადემოკრატიული ძალების შეკავებასაც და დემოკრატიული ინსტიტუტების შეუფერხებლად განვითარებასაც. როგორც კი რუსეთის საგარეო მინისტრის პოსტზე ანდრეი კოზირევი ევგენი პრიმაკოვმა შეცვალა 1996 წელს, რუსულ საგარეო პოლიტიკურ ნარატივში ლიბერალური იდეების პოსტულატები თანდათან რეალიზმმა ჩაანაცვლა. იგორ ზეველიოვი ასეც უწოდებს პრიმაკოვის ჯგუფს Реалисты-государственники, რაც შეიძლება გადმოვთარგნოთ,როგორც რეალისტი სახელმწიფო ჩინოსნები. ამ ავტორის თქმით ამ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ყოფილი ინტერნაციონალისტ-ლიბერალები,რომლებსაც იმედი გაუცრუა დასავლეთის პოლიტიკამ რუსეთის მიმართ 1990 იან წლებში, განსაკუთრებით ნატოს გაფართოების პოლიტიკამ. ამის ფონზე პრიმაკოვის ეპოქის რუსულმა საგარეო პოლიტიკამ შეიძინა თავდაცვითი რეალიზმის ელფერი,რომელმაც მთავარ ამოცანად დასახა პოსტსაბჭოთა სივრცის გავლენის სფეროდ ქცევა და აშშ-ს ინტერესების არგანვრცობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე (Зевелев, 2014).

ამ „რეალისტების" ჯგუფი მოგვიანებით ორად გაიყო , ერთი ჯგუფი წავიდა ხისტად ნეოიმპერიალური საგარეო პოლიტიკის გატარების მომხრედ, რაც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის საზღვრების აღდგენას და თუ ეს ამოცანა ბოლომდე ვერ განხორციელდებოდა,

რუსეთის გარშემო ბუფერული ზონის შექმნას მაინც, ე.წ ამერიკული ერთ პოლუსიანი საერთაშორისო სისტემის დამთავრებას და მის ჩანაცვლებას მრავალპოლუსიანი სისტემით, ხოლო მეორე ნაწილი უფრო რუსული ეთნონაციონალიზმისკენ გადაიხარა.

რუსული ეთნონაციონალიზმის იდეა გულისხმობდა სახელმწიფოს საზღვრებისა და რუსების საცხოვრებელი არეალის თანხვედრას ერთმანეთთან. რახან რუსების განსახლების არეალი მოიცავდა არა მარტო რუსეთს, არამედ აღმოსავლეთ სლავების სხვა ქვეყნებს ბელარუსსა და უკრაინას და ასევე ჩრდილოეთ ყაზახეთსაც, ეთნონაციონალები თვლიდნენ რომ რუსეთია იქ სადაც კომპაქტურად რუსი ერი ცხოვრობს. ამ იდეის პირველი აქტიური მხარდამჭერი იყო რუსი მწერალი, პუბლიცისტი და საბჭოთა კავშირის დროს დისიდენტად წოდებული- ალექსანდრე სოლჟენიცინი.

საბჭოთა კავშირის დროს ეთნიკური რუსები მართლაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ და მოსახლეობის მნიშვნელოვან ხვედრით წილს შეადგენდნენ. თუმცა საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, მათი სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მართლაც გახდა დიდი განსჯისა და დისკუსიის საგანი. ელცინი-კოზირევის ტანდემის დროს ამ ადამიანებს რუსული დიპლომატია „თანამემამულეთა“ სახელით მოიხსენიებდა. ჩვეულებრივ, თანამემამულეებში გულისხმობდნენ ადამიანებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მიღმა ცხოვრობდნენ, მაგრამ მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, რუსეთთან ენობრივი, კულტურული და ისტორიული კავშირების შენარჩუნებას ცდილობდნენ. იმდროინდელ რუსულ პოლიტიკურ ელიტას მკაფიოდ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ე.წ. თანამემამულეებთან მიმართებით რა სახის პოლიტიკა უნდა გაეტარებინა, ან რა საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა აეღო იმ ქვეყნების მიმართ, რომელთა ტერიტორიებზეც რუსულენოვანი მოსახლეობა ჭარბად იყო წარმოდგენილი. ალბათ, ამითიც აიხსნება, რომ ოფიციალურმა კრემლმა იმ დროს ირიდენტულ მოძრაობებს ყირიმში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ჩრდილოეთ ყაზახეთში მხარი არ დაუჭირა. მას შემდეგ, რაც კოზირევი პრიმაკოვმა ჩაანაცვლა, აქცენტი უფრო იმპერიული საგარეო პოლიტიკური კურსისკენ გაკეთდა, რადგან რუსული ეთნონაციონალიზმი ობიექტურად ამორფული ხასიათის იყო და მრავალეროვნული

რუსეთისთვის,სადაც ეთნიკური რუსების გარდა სხვა ეროვნებები და ხალხები ცხოვრობენ, რუსეთის შიდა სტაბილურობისათვის საფრთხის შემცველიც.

რუსული იმპერიული კურსის ხაზი გააგრძელა ვლადიმერ პუტინმაც 1999 წლიდან, როცა პირველად ის ელცინის პრეზიდენტობისას, პრემიერ-მინისტრის პოსტზე მოგვევლინა და 2000 წლიდან უკვე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის რანგში განაგრძო პოლტიკური კარიერა. პუტინის მთავარი მიზანი არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის სფეროების შენარჩუნება იყო, არამედ დასავლეთისთვის იმის დემონსტრირებაც,რომ რუსეთი უდიდესი ძალაა და მსოფლიო პოლიტიკაში მას უნდა აზრს ეკითხებოდნენ. რუსეთი არა მხოლოდ რეგიონული მასშტაბის ძლიერი სახელმწიფოა, არამედ მსოფლიო პოლიტიკის გიგანტია და ძლიერი დასავლეთისთვის ანგარიშგასაწევი ძალა. ნოვაია გაზეტაში მიცემულ ინტერვიუში 1999 წელს პუტინი აღნიშნავდა: „მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, რუსეთი თავისი არსებობის ყველაზე მძიმე პერიოდს გადის. პირველად, უკანასკნელი 200-300 მანძილზე, მის წინაშე რეალურ საფრთხედ დგას აღმოჩდეს მეორე ეშელონის ან უფრო უარესი, მესამე ეშელონის სახელწიფოთა გვერდით (Путин, 1999). იმისთვის რომ რუსეთი დასავლეთისთვის ანგარიშ გასაწევი ძალა გამხდარიყო, პუტინისთვის ორი მთავარი ამოცანა უნდა შესრულებულიყო 1. ეთანამშრომლა რუსეთს დასავლეთთან ენერგეტიკის, ეკონომიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, ეჩვენებინა რომ მნიშვნელოვანი საკითხები მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთის გვერდის ავლით ვერ გადაიჭრება და 2. დაედგინა წითელი ხაზები დასავლეთთან ურთიერთობაში, რისი გადაკვეთაც დასავლეთს ეკრძალებოდა. ეს წითელი ხაზი იყო სწორედ პოსტ საბჭოთა სივრცე-ანუ ღიად გაცხადებული გავლენის სფერო.

2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების სამიტზე პუტინმა ცნობილ მიმართვაში საბჭოთა კავშირის დაშლას უდიდესი გეოპოლტიკური ტრაგედია უწოდა და ამით დაუფარავად აგრძნობინა დასავლეთს,რომ კრემლი დაკარგულ სტატუსს ვერ შეეგუება და ის არ დაუშვებს, რომ დასავლეთმა უფრო ღრმად წაიწიოს რუსეთის ინტერესების სფეროში (Putin, 2007). ამისი თვალსაჩინო მაგალითი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც ყველამ აღიქვა როგორც თბილისის დემონტსრაციული დასჯა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობის სურვილის გამო. როგორც პრიმაკოვის ხაზის

ერთგული გამაგრძელებლისთვის, პუტინისთვისაც ნატოს გაფართოება პირდაპირპროპორციულად პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის დაკარგვის ტოლფასი იყო.

2009 წლიდან როცა ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნირობის პროექტი შეიმუშავა და ამ თანამშრომლობის ფორმატში ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო,სომხეთი და აზერბაიჯანი მოხვდა, ეს სიგნალიც პუტინმა მტრულ ნაბიჯად აღიქვა. თუკი ადრე კრემლი დასავლეთის მხრიდან ექსპანსიის საშიშროებას მხოლოდ ნატოს გაფართოების გზით ხედავდა და ევროკვშირს, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, 2009 წლის შემდეგ, რუსეთმა ევროკავშირის გაფართოების, თუნდაც შორეული, მაგრამ მაინც პერსპქტივა, სტრატეგიულ გამოწვევად აღიქვა. ამ აღქმებს ისიც ამძაფრებდა, რომ თუკი ნატოს გაფართოების მიმართ, როგორც სამხედრო პოლიტიკური ბლოკისა, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში (ამ უკანასკნელში მხოლოდ საქართველო გამოირჩეოდა ნატოში გაწევრიანების დიდი მხარდაჭერით). ევროკავშირი როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური აქტორი უფრო დადებითად აღიქმებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რაც კრემლის წარმოდგენით გრძელვადიან პერპექტივაში აუცილებლად გამოიწვევდა კრემლის როლის დასუსტებას.

2009 წლიდან მოყოლებული უკვე ევროკავშირიც რუსეთისთვის საფრთხის შემცველი ინსტიტუტის სიბრტყეში გადადის და ხდება ანტიდასავლური პროპაგანდის მთავარი სამიზნე. ოფიციალური დოკუმენტებისა და პროცესების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ რომ ანტიევროპული განწყობების დასამკვიდრებლად რუსეთი ვეღარ გააქტიურებდა წმინდა რეალპოლიტიკაზე დაფუძნებულ იმპერიულ რიტორიკას, რადგან ევროკავშირი არაა სამხედრო ბლოკი, ამიტომ მასთან საბრძოლველად სწორედაც რომ ფასეულობითი და ღირებულებითი დისკრედიტაცია უნდა დაწყებულიყო. უნდა დაეჯერებინათ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკები, სადაც რუსი და პრორუსულად განწყობილი მოსახლეობა მართლაც მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა,რომ ევროპა, ისევე როგორც ყველაფერი დასავლური რუსული ფასეულობების მთავარი მტერია.

2009 წლიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკურ რიტორიკაში აქტიურდება და 2014 წელს ყირიმის ანექსიამდე პიკს აღწევს ახალი, ე.წ ნაციონალურ იდენტობაზე დაფუძნებული

ნარატივები რომ ,,რუსები გაყოფილი ერია“, რომ ცივილიზაციური რუსეთი არაა მხოლოდ გეოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული ერთობა, რუსეთია ყველგან სადაც რუსული ენა, კულტურა და ფასეულობებია დომინანტი და საზოგადოება ამ ფასულობას პატივს სცემს. ანუ პუტინმა სოლჟენიცინის იდეები,რომლებსაც 1990-იან წლებში ჰყავდა მხარდამჭერები რუსული ეთნონაციონალიზმის სახით, რუსული სახელწიფოს ახალი პოლტიკური იდენტობის იარაღად აქცია და შეეცადა შიდა პოლიტიკურ დონეზე რუსი ერი სწორედ ამ საერთო რუსული კულტურისა და ცივილიზაციის ერთობის გარშემო შემოეკრიბა. ასე გაჩდა რუსეთის პოლიტიკურ ლიდერებში „რუსული სამყაროს-Русский Мир“ ნარატივი,რომლის იდეებსაც უნდა გააერთაინებინა არ მარტო რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ერები და ხალხები, არამედ პოსტ საბჭოტა სივრცეში მცოხვრები სხვა რესპუბლიკების მოქალაქეებიც, ვინც თავის თავს რუსული კულტურის ნაწილად თვლიდა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის როლი რუსეთის სახელმწიფო იდენტობის ფორმირებაში

2021 წლის ივლისში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განკარგულებით, დამტკიცდა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი-რუსეთის ფედერაციის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც ასახავდა არა მარტო კრემლში არსებულ დომინანტ პოზიციებს, არამედ მთელი რუსეთი ელიტისაც (Указ Президента Российской Федерации «О Стратегии национальной безопасности Российской Федерации, 2021). დოკუმენტის მთავარი არსი იმაში მდოგმარეობდა, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულმა დაპირიპირებამ ხანგრძლივი და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. დასავლეთს სურს წაშალოს რუსული ცივილიზაციის კვალი და დაამკვიდროს ისეთი ფასეულობები, რომლებიც უცხოა რუსული კულტურისთვისაც და თვითმყოფადობისთვისაც. განსხვავებით წინამორბედი სტრატეგიული დოკუმენტებისაგან, ტექსტში სიტყვა „რუსული ცივილიზაცია“ პირველად გაჩდა,რომელსაც უკვე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც აქტიურად იყენებდა თავის გამოსვლებში (Лавров,

2016) რუსული ცივილზიაცია გულისხმობდა არა მარტო თავად რუსეთის ფედერაციას, არამედ რუსულ სამყაროსაც, ანუ ყველას ვინც მიელტვის რუსულ კულტურას. რუსეთზე როგორც განსხვავებულ ცივილიზაციაზე ჰანტინგტონიც საუბრობდა თავის გამხაურებულ წიგნში „ცივილზაციათა შეჯახება, როცა სლავურ-მართლმადიდებული ცივილიზაცია ცალკე ჯგუფად გამოყო, მაგრამ რუსი პოლიტიკური პროპაგანდისთვის ახალი სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირებაში მაინც რუსულ დისკურსში დამკვიდრებულმა ეროვნულმა მითებმა და ფილოსოფიურმა მსჯელობებმა შეუწყო ხელი.

როგორც ყველა ერის, რუსების ეროვნული იდენტობაც გარკვეულწილად ეროვნული მითებისა და ისტორიული მეხსიერების ნაზავს წარმოადგენს. დუნკან ბელის აზრით, ეროვნული მითოლოგია გამარტივებული, დრამატიზირებული ამბავია, რომელიც შერჩევით მოგვითხრობს ერის წარსულზე და მის ადგილზე მსოფლიოში. ეროვნული მითები როგორც წესი ერის დიდებაზეა აგებული, მაშინ როცა ისტორიული მეხსიერება ბევრ საზოგადოებაში ასოცირდება ტრავმებთან, როგორიცა თავისუფლებისა და თვითმოყოფადობისათვის ბრძოლა, დაპყრობითი ომები და ა.შ. ძალიან ხშირად ეროვნული მითები და ისტორიული მეხსიერება ერთმანეთშია გადახლართული და გამყოფი ხაზი მათ შორის ბუნდოვანია (Bell, 2003)

რუსეთის ინტელექტუალური დისკურსი ამ მითოლოგიებითა და ისტორიული მეხსიერებით იმდენად მდიდარი და გაჯერებულია,რომ პუტინს არც კი დასჭირვებია რაიმე საკუთარი იდეოლოგიის მოფიქრება ახალი რუსეთის სახელმწიფო იდენტობის ფორმაციისთვის. მან გამოხშირა და თავის პოლიტიკაში გამოიყენა ის ნარატივები, რაც ყველაზე მეტად ესადაგებოდა მის იმპერიულ საგარეო პოლიტიკას. 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან რუსეთის პოლიტიკური ევოლუციის ფენომენად იქცა ეროვნული იდენტობის დისკურსის მასშტაბური მოზღვავება რუსეთის საგარეო პოლიტიკურ რიტორიკაში. რუსეთის საგარეო პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა იდენტობის საკითხების პოლიტიზირება და მათი აყვანა-გათანაბრება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან.

ზეველიოვი რუსეთის სახელმწიფოს ერონულ მითოლოგიაში სამ ძირითად მითს გამოყოფს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე შეიქმნა, მაგრამ განსკაუთრებით გააქტიურდა მე 19 საუკუნეში, დოსტოევსკის, კარამზინის, სოლოვიოვის, ტრუბეცკოის, გუმილიოვისა და ბევრი

სხვა ინტელექტულის ნააზრევში. ეს სამი მითია: რუსეთის ექსკლუზიორობა, რუსეთის უწყვეტობა და რუსეთის შეუთავსებლობა დასავლეთთან (Зевелев, 2021).

რუსეთის ექსკლუზიურობა გულისხმობს რუსეთის განსაკუთრებულ ბედს მსოფლიოში, რომელსაც განსაკუთრებული მისია აკისრია. რუსეთს უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი დასავლეთის სულიერებაში და დოსტოევსკის თქმით, დასავლეთის გაკეთილშობილება და სულიერი კათარზისი იყო სწორედ რუსი ერის უნივერსალურობაში ჩადებული. მეორე მითი, ისტორიული უწყვეტობა ეხება რუსეთის უცვლელობასა და მარადიულ ინტერესებს. ამ მითის მხარდამჭერი იყო ნიკოლაი კარამზინი, რომელიც თავის 12 ტომეულ წიგნში „ რუსეთის სახელწიფოს ისტორია“ ამტკიცებდა რომ რუსეთი მხოლოდ საკუთარი თავისადმია იდენტური. ეს მითი ეწინააღმდეგება ცვლილებების იდეას და დღიდან რუსული სახელმწიფოს დასაბამიდან, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: რუსული სახელმწიფოს თვითმყოფადობის შენარჩუნება, რა დრო და საუკუნეც არ უნდა დადგეს. ანუ დიდი მთავარი ვლადიმერიდან დაწყებული ვლადიმერ პუტინით დამთავრებული ყველა ხელისუფალის ამოცანაა შეინარჩუნოს რუსეთი ისეთი იდეით, რა საფუძველზეც იგი შეიქმნა და ეს ფასეულობები არასოდეს არ უნდა დაექვემდებაროს ცვლილებას. ეს მითი განსაკუთრებულად მოსწონს ვლადიმერ პუტინს, რადგან ასეთ დისკურსში ეროვნული ინტერესები და სტრატეგია საუკუნეების წინ წინასწარ არის განსაზღვრული და ცვლილებები მხოლოდ ტაქტიკურ დონეზეა შესაძლებელი. დაბოლოს მესამე მითი, რომელიც დასავლეთს რუსეთისთვის „იდეურ სხვად“ აღიქვამს, ასევე უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე რუსეთის სახელწიფო იდენტობის ფორმირებაში. რუსეთისთვის ამ დისკურსში მიუღებელია არარომელიმე ერთი კონკრეტული ევროპული სახელწიფო, არამედ მთლიანად დასავლეთი. ამ მითის ფუძემდებელია ნიკოლაი დანილევსკი ნაშრომით „რუსეთი და ევროპა“, სადაც გაერთიანებულია სლავოფილიზმი, პანსლავიზმი და იმპერიული იდეოლოგია. დანილევსკის აზრით, საერთო სლავური კულტურა საშუალებას მისცემდა რუსეთს სათავეში ჩადგომოდა სლავი ხალხის ფედერაციას, რომლის დედაქალაქიც გახდებოდა კონსტანტინოპოლი. ეს ფედერაცია მაქსიმალურად უნდა მორიდებოდა ევროპას, რადგან არსად იმდენი მტერი არ ჰყავს სლავურ ცივილიზაციას,როგორც ევროპაში. შესაბამისად, რუსეთისთვის ევროპაა ძირითადი საფრთხე. ეს მითი ცენტრალურია პუტინისთვის ეროვნული იდენტობისა და

საგარეო პოლიტიკის მშენებლობაში. წარმოსახვითი „დასავლეთი“ აღიქმება, როგორც ძალა, რომელიც ცდილობს შეცვალოს რუსეთის უნიკალური, ათასწლოვანი და მზარდი კონსერვატიული ეროვნული იდენტობა. 2014 წლის 18 მარტის გამოსვლაში პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა „ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის შეკავების პოლიტიკა რომელიც ტარდებოდა XVIII, XIX, და XX საუკუნეებში დასავლეთის მხრიდან, გრძლედება ახლაც და რუსეთი ამას არ დაუშვებს. რუსულ ფასეულობებს წინ ვერაფერი აღუდგება.რუსი ერი გახდა ყველაზე მრავალრიცხოვანი გაყოფილი ერი მსოფლიოში და ეს უსსმართლობა ერთხელდა სამუდამოდ უნდა დასრულდეს“ (Путин, 2014).

ათასწლოვანი რუსული იდენტობის აღმოფხვრის საფრთხე მხოლოდ უშუალოდ ეთნიკურ რუსებს კი არ უდგათ, არამედ სლავ ხალხებსაც, რომლებიც მართალია დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ცხოვრობენ, მაგრამ ფასეულობებითა და ღირებულებბეით რუსეთის ნაწილი არიან, რუსულ ცივილზაციას, რუსულ სამყაროს წარმოადგენენ და ამ სამყაროს დაცვა რუსეთის არათუ კეთილი ნება, არამედ ვალდებულებაა. ტერმინი რუსული სამყარო ოფიციალურად დამკვიდრდა რუსულ პოლიტიკურ რიტორიკაში 2014 წლიდან, როცა რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია. რუსულ საგარეო პოლტიკურ რიტორკაში ყირიმი იქცა „ძირძველ რუსულ მიწად“ სევასტოპოლი რუსულ ქალაქად“ ხოლო შავი ზღვის ფლოტი „რუსულ სამხედრო დიდებად“.

რუსულ მითებსა და დიდებაზე აგებული რიტორიკა რუსეთის მოსახლეობისთვისაც პოპულარული და მისაღები გახდა. ფასეულობებისა და იდენტობების ნარატივზე შეზავებული ნეოიმპერიული პროპაგანდა რუსული სამყაროს გადასარჩენად, გაცილებით მომგებიანი და ეფექტური აღმოჩდა ვიდრე მხოლოდ რეალიმზე დაფუძნებული პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური მიზნები ნეოიმპერიალისტურია და რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებითაა გაჯერებული, კერძოდ შეინარჩუნოს თავისი გავლენის სფეროები და არ დაუშვას არც ნატოს არც ევროკავშირის გავლენა და გაფართოება პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, შიდა პოლიტიკის დონეზე ამ მიზნებს კრემლი ეროვნული იდენტობისა და ფასეულობების დაცვით ფუთავს. რუსეთი სამეზობლოში იმიტომ კი არ იჭრება რომ აგრესორია, არამედ იმიტომ რომ იხსნას რუსული სამყარო და ცივილიზაცია დასავლეთის მომაკვიდნებელი გავლენისაგან და

შეუნარჩუნოს ამ ხალხებს თვითმყოფადობა, ვინც ენით,რელიგიითა და კულტურით გლობალური რუსეთის ნაწილია და არა დასავლეთის.

ეს ნარატივი იყო სწორედ მთავარი ქვაკუთხედი 2014 და 2022 წლის თებერვალში რუსეთის მხრიდან უკრაინაში შეჭრის საბაბი და რომ არა უკრაინელი ხალხის მედგარი წინააღმდეგობა, იდენტობით გაზავებული რუსეთის ნეომპერიული საგარეო პოლიტიკა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს შთანთქავდა.

დასკვნა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ დაიწყო ახალი სახელმწიფო იდენტობის კონსტრუირება რუსეთის ფედერაციაში. თუკი ომამდე არსებული საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების კონცეფციებში მეტი ადგილი ეთმობოდა რუსეთის ეროვნული ინტერსებისა და უსაფრთხოების საკითხებს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, განსაკუთრბით კი 2014 წლის ყირიმის ანექსიის მერე, რუსეთმა საკუთარი ნეოიმპერიალსიტური საგარეო პოლიტიკის შეფუთვა დაიწყო ეროვნულ იდენტობებზე აგებული ნარატივებით. ახალი რუსული სახელმწიფოს იდენტობა მდგომარეობდა რუსული კულტურისა და ცივილიზაციის განსაკუთრებულ როლსა და დანიშნულებაში. ე.წ რუსული სამყარო არ იყო მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები რუსეთის ფედერაციისა, არამედ ეს იყო ყველა იმ ადმიანის ერთობა ვისთვისაც რუსული კულტურა დაა რუსული ენა ახლობელია.

2014 წლის გაზაფხულისთვის რუსული სახელმწიფო იდენტობის ორიენტირი გახდა: ეროვნული იდენტობა (რაც გულისხმობდა თანამემამულეთა დაცვის, რუსული სამყაროს, რუსული ცივლიზაციის, რუსების,როგორც გაყოფილი ერის დისკურსს), საერთაშორისო უსაფრთხოება და საშინაო სტაბილურობის შენარჩუნება. რუსეთში შეიქმნა ახალი საგარეო პოლიტიური დოქტრინა, რომელიც ეყრდობა რუსული ცივილიზაციის და რუსული სამყაროს დისკურსს და საჭიროების შემთხვევაში რუსი თანამემამულეების დასაცავად ძალის

გამოყენებასაც არ გამორიცხავს. ასეთი კონცეფცია საგარეო პოლიტიკურ დონეზე ძაბავს ურთიერთობას,როგორც დასავლეთთან, ისე პოსტ საბჭოთა ქვეყნებთანაც, რადგან ყველა რესპუბლიკა „რუსულ სამყაროში“ გაწევრიანებას პირდაპირ საფრთხედ აღიქვამს, თუმცა შიდა პოლიტიკურ დონეზე ფასეულობებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულმა ამ რიტორიკამ მართლაც გამოიწვია მოქალაქეების სრული მობილიზება რუსეთის საგარეო პოლტიკური კურსის მხარდასაჭერად.

ბიბლიოგრაფია

Address by President of the Russian Federation.Vladimir Putin. (18.03.2014) Putin addressed State Duma deputies, Federation Council members, heads of Russian regions and civil society representatives. http://en.kremlin.ru/events/president/news/20603

Bell D, (2003) Mythscapes: Memory, Mythology, and National Identity. British Journal of Sociology. 54.(2), 66

Bloom W, (1996) Personal Identity, National Identity and International Relations Cambridge: Cambridge University Press

Jervis R, (1976) Perception and Misperception in International Politics Princeton: Princeton University Press

Prizel I, (1998) National Identity and Foreign Policy: Nationalism and Leadership in Poland, Russia and Ukraine Cambridge University Press

Putin V ., Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy. Retrieved June 16,2022 from http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/copy/24034

Wendt A, (1994) Collective Identity Formation and the International State The American Political Science Review 88 (2) pp 384-396

Wendt A. Social Theory of International Politics. (1999) Cambridge: Cambridge University Press

Неймарк, М. А. (2020). Внешняя политика России: от «нового мышления» к новому стратегическому мышлению. *Проблемы постсоветского пространства*, *7*(2), 171-189.

Концепция внешней политики Российской Федерации. (2000, July 11). Retrieved from www.ng.ru: https://www.ng.ru/world/2000-07-11/1_concept.html

Бергер П., Лукман Т. (1995) Социальное конструирование реальности. Трактат по социологии знания. СПб.: Медиум pp 86-87

Борис Ельцин в МИД: с кем быть и кто виноват. (1992) Коммерсантъ. 28 октября.

Данилевский Н. Я. (1991) Россия и Европа / Москва : Книга, 1991

Достоевский Ф. М. (1984) Полное собрание сочинений в 30 т. Т. 26. Дневник писателя / Ф. М. Ленинград : Наука, 129–149

Зевелев И, (2014) Трансформация национальной идентичности и новая внешнеполитическая доктрина России. Россия в глобальной политике №2 Март/Апрель Retrieved May 5, 2022, from https://globalaffairs.ru/articles/graniczy-russkogo-mira/

Зевелев И, (2021) Внешняя политика как инструмент конструирования национальной идентичности Retrieved May 10, 2022, from https://liberal.ru/lm-ekspertiza/vneshnyaya-politika-kak-instrument-konstruirovaniya-naczionalnoj-identichnosti

Козырев А. В. (1994) Стратегия партнерства. *Международная жизнь*. 5, pp 5-15

Концепция внешней политики Российской Федерации 2000 г.

Лавров С, (2016) Историческая перспектива внешней политики Росси. Россия в глобальой Политике Retrieved June 16,2022 from https://globalaffairs.ru/articles/%20istoricheskaya-perspektiva-vneshnej-politiki-rossii/

Лавров С. (2021) О правах и правилах. Россия в глобальой Политике. №4 Июль-Август Retrieved June 16,2022 from https://globalaffairs.ru/articles/o-prave-pravah-i-pravilah/

Неймарк М, (2020) Проблемы постсоветского пространства / Post-Soviet Issues 7(2):171-189

Путин В. В (2007) Полвека Европейской Интеграции Retrieved June 16,2022 from http://kremlin.ru/events/president/transcripts/24094

Путин В. В. (1999).Россия на рубеже тысячелетий. *Независимая газета*. 31 декабря

Указ Президента Российской Федерации «О Стратегии национальной безопасности Российской Федерации» от 2 июля 2021 года. Retrieved June 5,2022 from http://publication.pravo.gov.ru